№ 153 ივლისი 20, შაბათი — 1891 — ივლისი 20, შაბათი № 153

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1891

სასწავლებელი და პანსიონი

სპ. ბ. ჯორჯიკიასი.

(ქუთაისში)

პირველ სექტემბრიდგან პანსიონერებს მიიღებს წლიურად 180 მანეთად. გარედგან მოსიარულეთაგან აიღებს თთვეში სამ-სამს მანეთს მოსამზადებელს და პირველს კლასში მომზადებისათვის. ყმაწვილებს ამზადებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა, რეალურ, სამოქალაქო და სხვა სასწავლებლის ყველა კლასისათვის. ზაფხულშიაც ქუთაისში რჩება. (13—6)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა ივლისის 30 რიცხვს, შუა დღეს, გამგეობის თანადასწრებით ვაჭრობა იქნება დანიშნული განცხადებათა 50-ის ბოძის იჯარით გაცემისა და სამის წლის ვადით ამ ბოძებზე განცხადებათა გაკვრის უფლებისა.

ვისაც .ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, პირობათა შეტყობა შეუძლიან გამგეობის კანცელარიაში, ყოველ-დღე დილის 8¹/₂ საათიდგან, ნაშუადღევის 1¹/₂ საათამდე. (3—99—1)

## ახალი ამბავი

*** ტფილისში ჩამოვიდა გორის მაზრის თავად-აზნაურთაგან გამოგზავნილი დეპუტაცია თავის წინამძღოლის ბ-ნ სულხანიშვილისთურთ. დეპუტაციას ჰსურს მადლობა გამოუცხადოს მაზრის თავად-აზნაურთა სახელობით ბ-ნ გუბერნატორს გორის მხარეს ავაზაკობის აღმოფხვრისათვისაო, ამბობს გაზ. „ტფილ ლისტოკ“-ი

*** ყველას ნება აქვს სიცივისაგან, ქარ-ბუქ-სეტყვა-ქუხილისაგან თავი დაიფაროს და ყოველი ღონე იღონოს, რომ განსაცდელი თავიდგან აიცილოს, მაგრამ არიან ისეთები, რომელნიც ამის უფლებას მოკლებულნი არიან.

ჩვენ მოგახსენებთ საქონლის მატარებლის კონდუქტორებზედ. ძნელად წარმოსადგენია ამათი მდგომარეობა: ზევით, ვაგონის ქანდარაზედ წამოსკუპულია რკინის დასაჯდომი, მერე ისეთი, რომ სწორედ ძლივს ჩაეტევა შიგ კაცი. წარმოიდგინეთ საბრალო კონდუქტორის მდგომარეობა: სიცხე-პაპანაქება იყოს, ქარიშხალი, სეტყვა, ყინვა და გინდა სხვა, უნდა წამოსკუპული იჯდეს ქანდარაზე და თავის მოვალეობას ასრულებდეს (!?)

ამ რამდენისამე წლის წინად საქონლის ვაგონებს ზემოდ ქანდარაზედ პატარა ფარდული ჰქონდა მაინც და, საკვირველია, რისთვის მოშალეს ეს ფარდულები?

*** როგორც იმის, სომხური წარმოდგენები ენკენისთვის 12 რიცხვს დაიწყებაო.

*** ტფილისში არსებობს სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოება. დღემდის ამ საზოგადოებას ნება ჰქონდა თავის განყოფილება გაემართა, სადაც-კი მოისურვებდა ჩვენს მხარეში, მხოლოდ, წესდების მე-16, 17 და 19 მუხლების ძალით, უნდა ეცნობებინა მარტო მთავრობისათვის, რომ ამა-და-ამ ადგილს განყოფილებასა ვმართავო. ეხლა გაზ. მშაკ-ს შეუტყვია, რომ უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, ზემოხსენებული მუხლები წესდებისა სრულებით მოსპობილი იქმნას, და ყოველ განყოფილების დაარსების უფლება საზოგადოებამ ცალკე უნდა სთხოვოს მთავრობასაო.

*** საქართველო-იმერეთის სომეხთ ეპარქიის მღვდელთ-მთავარი მამბრე, როგორც ამბობენ, მძიმე ავადმყოფია თურმე ამ ჟამად.

*** ამ თთვის პირველ კვირაში კიდევ გამხდარა ავად ჩვენ ქალაქში 19 კაცი: ყვავილით 14 და მათგან გარდაცვლილა 7; ხუნაგით 5, ამათში არც ერთი არ გარდაცვლილა.

*** ჩვენის ქალაქის ერთის ბაღის პატრონს, ბ-ნს მეიერს კარგი აზრი მოსვლია. მცენარებისათვის, როგორც უწყით, მეტად საჭიროა სინათლე და უამისოდ ყვავილები არ გაიშლება. უცხო ქვეყნებში ბევრგან მოახერხეს ამ დაბრკოლების თავიდამ აცდენა იმით, რომ ელექტრონის სინათლით დაუწყეს განათება ბაღებს, როცა ღრუბლიანი დღეები გახშირდება და სინათლეს მოკლებულია მცენარეები. ჩვენს ქალაქში ბ-ნმა მეიერმაც განიზრახა ელექტრონით განათება თავის ორანჟერეისა და მომავალ ზამთარს, როგორც ამბობს გაზ. „კავკაზ“-ი კიდეც გაჰმართავს თურმე ელექტრონის მაშინას, რომელიც უკვე გამოუწერია ინგლისიდამ. ამ გვარად ბ-ნი მეიერი ზამთარშიაც ახარებს მცენარეებს და ყვავილს გააშლევინებს.

*** ხუთშაბათს, ამ თთვის 18-ს, მატარებლით გაგზავნეს ბაქოში, იქიდგან სპარსეთში გასაგზავნად, ორას ორი ფუთი და 27 გირვანქა ვერცხლი, რომელიც სპარსეთის ზარაფხანისათვის იგზავნება. ეს ვერცხლი ნახევარ მილიონად არის დაფასებული და გამოგზავნილია ინგლისიდგან.

*** „მწყემსი“-ს უკანასკნელს ნომერში ვკითხულობთ:

ამას წინედ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მოწერილობა მიიღო „საეკკლესიო უწყების“ რედაქციიდამ ამ სავალდებულო ოფიციალური გამოწერის შესახებ. რედაქცია, სხვათა შორის, სწერდა ყოვლად სამღვდელოს, რომ ამ ჟურნალის გამოწერისაგან განეთავისუფლებია ღარიბი ეკკლესიები და ის კრებულნი, რომელთაც რუსული ენა არ იციანო.

*** იქვე. ამ დღეებში თითქმის საექსარხოსოს ყველა ბლაღოჩინებმა მიიღეს ცირკულიარული მოწერილობა საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორისაგან. ამ მოწერილობით ეუწყებათ ბლაღოჩინებს, რომ თუ ყველა ეკლესიებიდგან არ იქმნა წარდგენილი წლიური ფასი „სასულიერო მოამბისათვის“, მაშინ ბლაღოჩინები იქმნებიან დაშტრაფულნიო. სამწუხარო ამბავია. რად უნდა დაიშტრაფოს ბლაღოჩინი იმისათვის, რომ

## ფელეტონი

### სარკით მოტყუება

ძველს დროს

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 152)

ამ დროს ტატალუა აჩქარებით შემოვიდა და ასატურასთან მიიჭრა.

— ალაჯან! რა ამბავია? ასე უცეფ რა გამოგვარდნია?!.

— არაფერი, რაღაც მოწამლული შეუჭამია,—მიატანა ექიმმა.

— შეუჭამია?!. უი, დაუდგა თვალი ტატალუას!.. ახლა რაღა ვქნა, გენაცვალე?!.

ასატურას გული ამოუჯდა და ცრემლებ მორეულმა კვნესით დაიძახა:

— ვაი, ვაი, რა ვქნა?!.

ექიმმა ტატალუას ჩუმის ხმით განგებ ლაპარაკი დაუწყო.

— ჭკვიანი დედაკაცი ხარ და როგორ არ იცი, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. სწორეთ-კი უნდა გითხრა, ძნელ დღეშია!..

— ქაა! გენაცვალეთ, სულ მაგის მუცელაობას არა ვჩივი?!. კაცი განა თავის მუცელაობით უნდა მოკვდეს?!.

—მაგის ლაპარაკის დრო აღარ არის, აგერ რეცეპტი, წამალი მოუტანინეთ და ასვით!..

— დოხტურჯან, არ მომკლა, ჰაა!.. დაეღრიჯა ასატურა ექიმს.

— მე ჩემი სათქმელი გავათავე, მშვიდობით!..

— მოიცა, ბატონჯან! გებნები, ნუ მიშვებ, მომარჩენ, ფულს ხელში ჩაგიდებ!..

ტატალუაც დაემოწმა:

— მაშ თავის ჯაფის ფასს ვინ დაუჰკერს!..

— კარგი, კარგი, არაფერია, ოციოდე ხელს პირიდან ასაქმებს და შეიძლება შხამი თან ამოჰყვეს თუკი გასჭრა და ასაქმა!..

ექიმი წავიდა და რეცეპტიც თან წაიღო!.. ტატალუა მოუჯდა ასატურას და ხელი დაუჭირა.

— რაღა ვქნა და რა წყალს მივეცე!.. ქაჯან! შენი სიცოცხლე ორი საათიღა არისო.

— ვაი, შენს ტატალუას!..

— რა სულელი ვინმე ვარ, სტეპკუა და ოსკანა ქალაქში რათ ჩავიტანე! ხომ ვეღარ უნდა ვნახო! თალიკო სადღაა, ამ სიკვდილის დღეს მემალება?!.

— ძალუანთ დაუძახეს, ეხლა იქაც ხმა მიქნია!..

— შენ იცი და ამ ყმაწვილებმა, თუ ვინიცობაა შენც არ უღალატებ!..

— უი, დაუდგა თვალი ტატალუას რეებს მებნები! ორმოცი წლის დედაკაცი მეორე ქმრის ლუკმას შესჭამს?!.. ეხლავ ჩემის ხელით თავს მოვიკლავ!..

— რადა, რადა, არც მე ვიყო და არც შენა?!.

ესენი რომ ამ მუსაიფში იყვნენ, თალიკოც შემოვიდა.

— გენაცვალე, მამავ, რა იყო? რა მოგივიდა?!

— ვკვდები, შვილო!..

— მოწამლულიაო, გენაცვალე!..

— რა, ცოტა მტრები ჰყავს!..

ქალმა ხელი დაუჭირა მამას:

— სიცხე-კი არ გეტყობა-და?!.

— რა ყმაწვილი ხარ, მოწამლულის სიცხე ვის გაუგია?!.

ამ დროს ალექსანდრეს მსახურმა პეტრიკამ წამალი მოიტანა და მოახსენა:

— ხუთ მინუტში ერთი სტოლის კოვზი დაალევინეთ, პირიდან ქე ამოუვიდესო!..

— თითონ-კი არ მოდის?—ჰკითხა ტატალუამ.

— ასთე უბნობს, ფიშტოს თუ შეელევიან, კი მცქვიტა მოვირბენო.

თალიკომ ასატურას წამალი დაალევინა, ასატურა დაიღმიჯა.

— ოჰ, რა მწარეა!..

— ექიმს მართლა ეხლავ უნდა მივცეთ რამ, რომ ავადმყოფზედ ბეჯითად იყოს,—უთხრა თალიკომ დედას.

— ვიჰ, შვილო! შენ ფულებმა კენჭები გგონია, ბალქამ აუტყდეს რამ, მერმე ფულებმა დაიკარგოს?!. დოხტურები მაგეებს რომ არა ჰკითხულობენ?..

ასატურამ საათს დაჰხედა.

— ვადა საათი-ღაა და პირიდან არა ამოსდის-რა!..

თითები პირში ჩაიყო და ბევრი აზიდა, მაგრამ პირიდგან არა ამოუვიდა-რა.

— დასწყევლოს სურფ-კარაპეტმა, ქვა ჩამიძვრა?!.

— რა ვიცი, შენი სარჩო სად რა არის, შეგირდები ფარჩა-ფურჩა რამეებს სულ ჩაჩქმალავენ!.. დაიწყო წუწუნი ტატალუამ.

ასატურა წამოჯდა:

— თალიკო-ჯან! მომიტა ჩქარა ჩემი ყუთი, ვექსილ-მექსილები, დავთარი.

— არა, ნუ მოუტან, მაგეების გული ვისა აქვს,—შეუტია ტატალუამ.

— მომიტა ჩქარა, ანდერძი დავასწრო!

თალიკომ მამას ყუთი წინ დაუდგა, ასატურამ კანკალით უბიდგან გასაღები ამოიღო, გაალო და ქაღალდები გადარჩ-გადმოარჩია. ამასობაში თალიკომ მამას შუბლზედ ხელი გადუსო.

— რა ცივი ოფლი გაქვს?!.

— ჰო, შვილო! ეგ არაფერი ნიშანია!.. აი, გულისა, შენი მზითვის ფულმა ასი თუმანი ასე კუნტად, აჰა, შენ!.. ტატალო-ჯან! ეს ორასი თუმნის ვექსილმა, თავნ-სარგებელი გასწორებულია, შენთვის გადამიდვია!.. აი, ეს ქუცმაცი ვექსილები, ბარათის ნისიები და ფარჩა-ფურჩა, დუქნის რამეები, ავეჯი სტეპკუამ და ოსკანამ გაიყონ!..

— ალაჯან! მერმე მე ვექსილმა რაშავ ჭირად მინდა, რაც გაუშო ჩემთვინ, ნაღდი გაუშვი, ოხერ-ტიალმა დავიდარაბაში სად ვალაჯუნო?!..

— მაშ ეს ორასი თუმნის ვექსილმა თალიკოს და ნაღდი ასი შენ!..

— მერე ეგ ვექსილმა ვისზეა?

— გალუსტა ვართაპეტა - შვილზედ!..

— არა უშავს-რა, მაშ იყოს ჩემთვის, ის მდიდარი ვინმეა, ქვაცა აქვს და კაკალიც.

— დაუძახეთ ტერტერას, ანდერძი გავათაო რაღა!...

— ბეჩავ, ჯერ სულ ბედოვლათმა იყავ, ეხლა სიკვდილის დღეს სულ ჭკუა წაგსვლია! ქაა! ხელში უნდა ჩაუყარო წირტი-პირტებს?!

ეკკლესიაში სიღარიბისა გამო გროში არ რჩებოდეს? ეს მოწერილობა ეწინააღმდეგება მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალლადის აზრს, რომელმანც სინოდს გარდააწყვეტინა, რომ ღარიბი ეკკლესიები მუქთად მიიღებენ ამ ჟურნალსო; ეწინააღმდეგება აგრეთვე „საქართველოს მოამბის“ რედაქციის დაპირებას, რომელმაც გამოაცხადა, რომ რვა ეკზემპლიარზე ერთი სათავად, უფასოდ გაეგზავნება ჟურნალიო. ან რატომ იხარჯება რედაქცია ყველა ეკკლესიებისათვის ჟურნალის ბეჭდვაზე და გზავნაზედ, როდესაც ნამეტანმა ნაწილმა მღვდლებისამ რუსული არ იცის? მართალია, რამდენიმე გვერდი რუსულ ჟურნალს ქართულიც მიჰყვება ხოლმე, მაგრამ საუმჯობესოა, რომ მარტო ეს ქართული გაუგზავნონ იმ მღვდლებს, რომელთაც რუსული არ იციან და ამ ქართულისათვის ქაღალდის ფასი და ბეჭდვისა სულ მცირე რამეს შეადგენს, და ეს ფასი, თუ ეკკლესია ღარიბი არის, არ გვჯერა თვით სამღვდელოებამ არ არ შეიტანოს თავის ჯიბიდგან.

*** მომავალ სექტემბრის თთვიდამ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან ხელახლად გაიხსნება დასაწყისი მოსამზადებელი კლასი. ამ კლასში მიიღებიან ყმაწვილები, როგორც სასულიერო წოდებისა, ისე საეროსი. სასულიერო წოდებისა თითოეულ მოწაფეს სწავლის ფასად წელიწადში გადახდება 15 მ., ხოლო საეროს—40 მანეთი. („მწყემსი“)

*** თიონეთი: ძლივს ღმერთმა გადმოიხედა ჩვენკენაც მოწყალის თვალით, ეხლაკი დრო არის მივყოთ ხელი თიონელებმა მხიარულის გულით მოსავლის მუშაობასა, რადგან ამისთანა მოსავალი ეს შვიდი წელიწადია არ გვინახავს, მაგრამ რა გამოვიდა: მომკილი ძნები მინდორში ლამის საქონელმა სულ გაატიალოს, შიშით კარში ვერ გამოვდივართ: ცოფიანი მგელი გაჩნდა და ამ ორი-სამის კვირის წინად ხან ერთს სოფელში მივარდებოდა, ხან მეორეში და ჰგლეჯდა ხალხს. არ იქნა და ვერავინ ვერ მოჰკლა. თიონეთის საზოგადოებაში მგელმა ხუთი კაცი დაჰგლიჯა; მაზრის უფროსის განკარგულებით, ხუთივე ტფილისში გაჰგზავნეს საბაქტერიოლოგიო სადგურზედ საექიმოდ. ამბობენ, ეხლა ერწოში გაჩნდა ცოფიანი მგელიო და იქაც სამი კაცი დაჰკბინაო, მაგრამ რამდენად მართალია ეს ხმა ჯერ დარწმუნებით არ ვიცით.

არც საქონელს დაადგა კარგი დღე. ამ წარსულს თიბათვის ოცში თიონეთის საზოგადოების სოფ. ძებინაურებში გაჩნდა საქონლის ჭირი და ოთხ-ხუთ კომლს დაუხოცა ოცამდის სული საქონელი და დანარჩენებისა ეხლაც ბევრია ავად. კარგი იქნებოდა, ვისმეს გულ-შემატკივრობით მოგვსვლოდა აქ ბეითალი, რომ იმის შემწეობით დანარჩენ სოფლებს მაინც როგორმე აგვცდენოდა ეს საქონლის სენი, თორემ ამ გახურებულს მუშაობაში ყველას საქონელს რომ ეს სენი გადაედოს, თქვენი მტერი თიონელები დავიღუპებით და მინდორში დაგვრჩება მთელი ნამუშავარი მოუტანელი.

არც ხალხის ავადმყოფობაა ნაკლებად თიონეთში. აქ ისევ მძვინვარებს ყვავილი და წითელა; მხოლოდ ერწოში ყვავილს ძალიან ამბობენ, ყმაწვილებს ძალიან ჰხოცავსო. წრეულ სამხედრო ბანაკი ჩვენკენ სწორედ იმ დროს იშლება, როცა გახურებული მუშაობა გვექნება თიონელებს. მადლობა ღმერთს, პურის მოსავალი მაინც საკმარისი მოგვდის!

*** ფოთი. სანატრელი მშვიდობიანობა ჩამოვარდა ჩვენსკენ: აქეთ არც ქურდობაა, არც გაძარცვა და არც დაჭრა-მოკვლა ვისიმე. ღვთის წყალობით, ჰაერიც კარგია აქ და ქალაქი სრულიად მოსუფთავებულ-მორაკრაკებულია, მხოლოდ ის გვაწუხებს, რომ ამ ბოლოს დროს სურსათ-სანოვაგე საკმაოდ დაძვირდა. ოყა ხორცი (3 გირვ.), მაგალითად, ჰღირს 30 კაპ., ფუთი სიმინდის ფქვილი—1 მ. 20 კ., პური გირვანქა —4-5 კ. და ღვინოს ხომ ახლოვერ გაუვლის ადამიანი, ისე მამა-სისხლად ისყიდება. კარგი იქნება, რომ ყურადღება მიაქციოს, ვისაც ჰმართებს, და აჰლაგმოს ვაჭრების მსუნაგობა.

*** ივლისის 18 მალაკნების ქუჩაზე ქვრივის ანნა კაჩეგაროვის ორის წლის ქალი ეზოდგან ცხენის რკინის გზის ლიანდაგზე გამოირბინა, გამოქანებული ვაგონი დაეჯახა და გასრისა.

*** ამავე დღეს მიხეილის ქუჩაზე სოლომონ ხეჩუმოვის საკანდიტეროში ამავე ხეჩუმოვის შვილს გრიგოლს რევოლვერი ესროლა ფორომაზან თოფჩიბაშევმა, მაგრამ ტყვია ვერ მოახვედრა. დამნაშავე გაიქცა, მაგრამ მალე მიუსწრო პოლიციელმა და შეიპყრო. თოფჩიბაშევი სამართალშია მიცემული.

*** 18 ივლისს საპიორის ქუჩაზე, ხელაძის სახლთან იპოვნეს ერთის კვირის დაბადებული მიგდებული ბავში. ბავში საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს

## არჩილური, შვიდ-თავი

(სამღრთო ამიცანები)

—

ქრებულთა შორის რჩეულთა სდგას
შეუპოვრად მდგომელი!
Iძვრის მამაცად, ერთგულად, დღისით და ღამით მშრომელი...
რაც გითხრას, ყველა გჯეროდეს,—
სიმართლე არის მხდომელი;
Iტვირთავს უგლიმო წყინებას მეტყველი დაუშრომელი,
ლიქვნის მდევნელი პირდაპირ, მსაჯული მიუდგომელი,
ერის ტკივილით მოწყლული, სდუდს
ღვაწლებ-დაუცხრომელი.

## საწყალი ოღოსყურა და უუსაწყალესი ხონ-ქუთაისის შარა-გზა.

ოღოსყურა გახლავს პატარა რუ, რომელიც ბანოჯის მთიდგან ჩამოჩხრიალებს ქუთაისის ქვემოდ ერთს ვერსზე. ეს რუ უწვიმობის დროს ძლივს მიწანწკარებს, წვიმის დროს-კი იკრებს გორაკების კალთებიდგან ნიაღვარს და ერთის ამბით გამოექანება ხოლმე ჯერ სამხრეთისკენ და ბოლოს, როცა ხონ-ქუთაისის გზას გადასჭრის, სწორედ ხიდთან, გზის მიმართულებას იცვლის და გაეშურება დასავლეთისაკენ თავის საკუთარს ვეებერთელა კალაპოტში. ეს კალაპოტი გვალვის დროს ისე უხდება, როგორც ახალდაბადებულს ვეებერთელა ფაფახის ქუდის დახურვა მოუხდება, იმ ფაფახისა, რომელიც ვეზუვის კრატერს მიემსგავსება და თავის გამოქვაბულში ჰედილასაც-კი დაიტევს. მაგრამ საქმე ის არის, ეს ყბად-აღებული ოღოსყურა ახდენს რასმე, თუ აკეთებს თავის არსებობით ამ უმადურს ქვეყანაზედ? ცხადზედ უცხადესია ყველასათვის, ვინც „შინაურულად“ იცნობს, რომ იგი ერთობ სასარგებლო წყალია მთელის იმ არემარესთვის, რომელსაც-კი ჩაუდის. მთელს ნოყიერებას, მთიდგან და ღრეკლდეებიდგან ჩამორეცხილს, იგი სდებს თავისს ნაპირებზედ გაწოლილ სახნავ-სათესს ადგილებს თხუთმეტიოდე ვერსის მანძილზედ, სანამ ბოლო არ მოეღება და გუბის წყალს თუ სხვა რომელსამე რუს არ შეუერთდება და არ დაკარგავს საკუთარს სახელს. ახლა ასეთს სასარგებლო რუს ბრალად სდებენ, რაც ხონ-ქუთაისის შარა-გზას ჩვენებური გულ-ქვა ინჟინრები შეუბრალებლად აწვალებენ, ვითომ ეს რუ აფუჭებდეს გზას, რისთვისაც იხარჯება ყოველ წლივ ასას თუმნობით და ათასობით გლეხი თავის ხარ-ურმით სცდება და ილაჯს ირთმევს.

უფრო ის არის გულ-საკლავი, რომ საწყალი ოღოსყურას სახელი მთელის ქვეყნის „ოტჩოტებში“ ავად არის მოხსენებული და ყოველმა მწერალმა იცის, რომ ის ქვეყნის დამაქცევარია... აშოროს ღმერთმა! ოღოსყურას აქ დანაშაული არა მიუძღოდეს რა. კი, მართალია, რომ ჩვენი დრო უკუღმართობის დროა, წაღმას უკუღმისგან ვეღარავინ არჩევს. შორს რომ არ წავიდეთ, ტაროსზედ მოგახსენებთ, რომ წელს ზამთარში ზაფხულის ამინდი იყო, მარტში აპრილისა, აპრილში—მარტისა, მაისში და ივნისში—ივლისისა და ივლისში-კი ივნისისა, ასე რომ მაის-ივნისის მაგივრად დღეს შემოვიდა ჩვენში კიტრი! ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ჩვენმა ოღოსყურამ კარგად იცის, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა ის დრო, როცა მდინარეები აღმართს შეუდგებიან ხვნეშა-კვნესით და ზღვის მაგივრად მთის წვეროებზედ გაიჩენენ ბინას. დიახ, იგი იმის დანაშაულია, რომ სადენად აღმართის მაგიერად დაღმართს ირჩევს, მაშინ როდესაც ჩვენებური ინჟინრები მას აღმართისკენ ურჩევენ სიარულს! მოდით ახლა თქვენ და ნუ ჰბრძანებთ, დრო გამოიცვალაო.

ხუმრობა გაშვებით და დღეს ჩვენში სარწყავ რუების გაყვან-გამოყვანის ციებ-ცხელება გახლავს მოდებული. ხონელებმა და მისმა მოსაზღვრე სოფლებმა ლამის ცხენის წყალი სულ ხონსა და კულაშ მოსდონ არხების ბადით. ყველას უნდა თავის ეზოზედ გაიყვანოს არხი და ერთს მოთავეთაგანს კიდევ უნდაო, რომ მთელს ქვეყანას მოსდოს არხები და როცა მთელის დედამიწის სიმრგვლეს შემოარონინებს, ბოლოს ყველა არხებს სოფელს ჯიხაიში მოუყაროს თავიო! როდესაც ჩვენში ასეთი არხების ციებ-ცხელება მძვინვარებს, საწყალს ოღოსყურას კაცმა საკუთრად ორი ადლი მიწა არ აღირსა, რომ სცოდნოდა, თუ სადა აქვს უფლება, თავისუფლად იდინოს ქვეყნის სასარგებლოდ. საქმე ის არის, რომ ზემოდ მოხსენებული დიდი კალაპოტი თვალიდგან იკარგება და ჩვენი რუ ტყიდგან გამომხტარ კურდღელივით მინდვრად რჩება უპატრონოდ, თავის-თავის ამარა. აი სწორედ აქედგან იწყება ვითომ მისი ავ-

---

— რომ ვკვდები მაშ?!.. მოდი, თალიკოჯან, გამოგესალმო!

აკოცებს და ტატალუას გადაჰხედავს:

— ქაჯან! უკანასკნელად შენ-კი არ მესალმები?!

— კარგი, ჰო! მწარე-მწარე სიტყვებს ნუ გამაგონებ!...

ამ დროს ასატურას რაღაც ფიქრი გაუელვებს. თალიკოს მიჰსწვდება, ფულს ხელიდგან გამოჰგლეჯს, ვექსილებს ყუთში ჩაჰყრის და გასაღებს ჯიბეში ჩაიდებს! პირში თითებს იყოფს, გულს ირევს, მაგრამ პირიდგან არა ამოჰსდის-რა.

ამ დროს პეტრიკაც შემოვა.

— აღა ბრევლს ეღრიჯა, მარა, აპა, არ ქნა, თუ ფიშტოს არ შეეღევა, ტყუილ-უბრალოდ რავა წავალო!...

ასატურა საათს დაჰხედავს.

— ვაი, ვაი, ვაი! ათი მინუტი-ღაა ვადა!..

— ნეტა, ან დამბაჩა რასა ჰქვიან და ან ფული? რაცა ჰნებავს, მიეცით, ოღონდ მოგარჩინოს!—შესძახებს თალიკო. ასატურა დაიღრიჯება.

— მორჩენა უფალმა იცის, მაგრამ ფული მიეცით, ფული!..

— თავ-ქარიანო! აბაზები ჩიტს კენჭის ადგილს აყარე რაღა?—შეუტია ტატალუამ, გაჯავრებული ეძგერა, ჩამოიღო დამბაჩა და პეტრიკას მიუგდო:

— აჰა, მიაშავე და ვნახოთ რაღაც თავს წამოუწევს!...

— კი, ბატონო!...

ტატალუა და ასატურა ჩაფიქრებულები იყვნენ კარგა ხანს. ბოლოს ტატალუამ წამოიძახა:

— ვეხვეწე და ვეხვეწე, ბევრს მახოხს ნუ ჰსჭამ, ქილას ობი მოუკიდნია-მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერებს!..

ასატურას თითქო გაუხარდაო, ღიმილით წამოიძახა:

— მართლა, რა რიგათ გამოიცან? სწორედ მახოხის საქმეა!...

— მაშ ის ნანის ნანატრი დედი ჩემის უსნი ფერას სული წამიწყმდეს, თუ მე-ღა მახოხი ჩავდგა!...

ესენი რომ ამ ლაპარაკში იყვნენ, ექიმიც შემოვიდა, მაჯა გაუსინჯა, წამალი ამოიღო, სტაქანში გააკეთა და ასატურას მიჰსცა.

— აჰა, ეს სულ ერთბაშად დალიე!.. ასატურამ გამოართვა და საჩქაროდ გადაჰკრა.

— ძალის-ძალათ ბევრს გულს ვირევ და არა მეშველარა, არ ამოდის!..

— გულის რევა საჭირო აღარ არის, ეს წამალი შენი შხამის გამქრობია, ამას იქით თუნდა ქვაზედ გაგორონ, აღარა გიშავსრა!..

— მართლა, შენი სიყმის მზეს?!.

— მაშ მოგატყუებ?!.

ტატალუამ ექიმს შესჩივლა:

— თურმე მახოხის საქმე არა ყოფილა! ქაა, ისე როგორ მიხვდი?

— მაშ რის ექიმი ვარ, თუ სნეულობას ვერ გავიგებ!..

— ეს-ეს არის, ჩემი ცოლშვილის ჰეემე მადლი გეყოფა!..

ამათ ლაპარაკში სულხან და დიამბეგიც შემოვიდნენ და ასატურასა ჰკითხეს, როგორა ხარო.

— ისეთი წამალი მიმიცია, ორ საათში როგორც ყოფილა, ისევ ისე გახდება,—უპასუხა ექიმმა.

— ეხლა ისევ თავის ფერზედ მოდის. ექიმი შენისთანა უნდა, აი!—დაიძახა ალექსანდრემ.

— ასეთი რა წამალი ჰსცოდნია? საკვირველია,—სთქვა სულხანმა.

— ცოტა არ არის, რომ ჩემ თავს მეც უკეთობა შევატყე!—დაემოწმა ავადმყოფიც.

ალექსანდრე ახლა ტატალუას მიუბრუნდა:

— ჭეშმარიტად, საღმრთო გმართებთ, რომ ასე გადარჩა!..

— რადგან ასატურა ჩემი ნათლიმამაა, და ძალიანაც მიყვარს, ამისათვის დღეს ხომ შაბათია და სამშაბათს ამათ ბაღჩაში საღმრთოს მე ვიხდი: ხარჯი სულ ჩემი იქნება, გამგეობა და ტანტინივობა-კი ნათლიდედასათვის მიმინდვია!..

— ყაბულსა ვარ, ყაბულს!—დაიძახა ტატალუამ.

— მანამ იქნება მეც მოვჯანიანდე!..

ექიმმა საბანი იქით გადაუგდო.

— მოჯანიანდე-კი არა — ეხლავე უნდა ადგე!..

— აბა, ერთი ვნახო, ფეხზედ ვდგები?!.

ასატურა წყნარ-წყნარა წამოდგა და ამათ სიცილი დაიწყეს.

— ყმაწვილებო, ჩვენ წავიდეთ, ასატურას ახლა კარგი ჩიხირთმა მიართონ, რომ მადა გაეხსნას,—ამ ორ დღეს თავისებურად გახდება. სამშაბათს ტოლუმბაშად ხომ მაგასვე ამოვირჩევთო?—სთქვა ექიმმა.

ყველანი დაემოწმნენ და გზას გაუდგნენ.

მეორ-მესამე დღეს სულხანისაგან სხვა-და-სხვა სამზადისი მოუვიდათ და სამშაბათ დილით რამდენიმე მოსამსახურე მოვიდა და ბაღჩაში სკამები და საფენები დაამზადეს. ასატურა სიხარულით შერბოდა და გამორბოდა, ყველას იმას ახარებდა, რომ ჩემს ნათლიას ჩემის მორჩენის საღმრთო აქვსო. ტატალუა ქათიბ კალთებ შეკეცილი ფლავსა და ტოლმას ჰხარშავდა, სხვა-და-სხვა საჭმელებს დასტრიალებდა და ყველას ეუბნებოდა, ნათლია ჩვენი კაი ვინმეაო!..

თორმეტი საათი რომ შესრულდა, სულხანი მოვიდა და მოწვეულს ხალხს დაუხვდა. დასხდნენ სადილზედ, ექიმმა ასატურას ტოლუმბაშობა მიულოცა და შემდეგ, როდესაც კარგად შეზარხოშდნენ, სარკე ამოიღო და სთქვა:

— აი, ბატონებო! ეს სარკე გახლავთ დღეს ჩვენი გამამხიარულებელი და ასატურას დამბაჩის დამტყუებელი.

ექიმმა ყველაფერი უამბო სტუმრებს, ყველამ სარკეში ჩაიხედა და შეიქნა ერთი სიცილი და ხარხარი!..

წამოხტა ასატურა, ის სარკე დაამსხვრია და დაიძახა:

— ჰაი, თქვე პლუტებო! ეს რა კარგი აქლემი გამიკეთეთ-და!..

ბარბარე ჯორჯაძისა

კაცობა და ნამდვილად-კი მიუმხვდარობა მისის უთაო პატრონებისა. კალაპოტი არა აქვს მიჩენილი და განა საკვირველია, რომ სადაც დაბალს შეხედავს, იქ გადივლის, თუნდ გზა იყოს და თუნდა არა? როცა იგი შეუპოვრად ადგება ხოლმე შარაგზას და განუწყვეტლივ მიშხუვის, სულ ერთს გაიძახის: „კალაპოტი, კალაპოტიო“! მაგრამ ჩვენებური ლესსეპსები გონებით ყრუნი გახლავან... კაცისაც არა ესმით-რა, არა თუ მდინარისა. მეც, როგორც ერთი ვინმე ვექილი, სხვებთან ერთად, საწყალს ოლოსყურას და უუსაწყლესის ხონ-ქუთაისის გზისა (მინდოდა მეთქვა შარასიო, მაგრამ, ხონ-ქუთაისისა და ნამეტურ ხონის შარას კარგი ვექილი უნდა, რომ გაუძლებს!) ყოველ წლობით და სწორედ ყოველთვის ამ დროს ვესარჩლებით, მაგრამ ამაოდ!

ნ. წერეთელი

## წერილი დაღესტნიდგან

დაღესტანი, ეს ჩვენი პატარა მეზობელი, ხშირად არის მოხსენებული ჩვენს მატიანეში. ხშირად იხრიდა თავს საქართველოს ძლიერების წინაშე, მაგრამ უფრო ხშირად-კი თავისი წუნკალა ბელადებით მოსვენებას არ აძლევდა საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილს. ვინ მოსთვლის, რამდენი ქალი, კაცი და ბავშვი მოუტაცნიათ ლეკებს საქართველოდგან! ვინ მოსთვლის, რამდენი მუშა ქართველი კაცი დაკლულა შეუბრალებელის ლეკის ბელადის ხელით, რამდენი ქართველი ქალი ტყვედ წაყვანილა ლეკეთში და გაუპატიურებულა, რამდენს ქართველს კაცს, ლეკების მიერ ბავშვობისას ტყვედ წაყვანილს, ველარ უცვნია თავისი სამშობლო საქართველო და სხვა ლეკებთან ერთად სისხლი უღვრია თავისის მოძმე ქართველებისა! მართალია, ვაჟკაცობით განთქმული ქართველი გმირები ხშირად ატოვებინებდნენ საქართველოში ქურდულად შემოპარულ ლეკის ბელადებს სიცოცხლეს; თუ ლეკებს „ალი ფოლადები“ ჰყავდათ, ჩვენ სამაგიეროდ „ოთია მესხები და ადამ ბებურიშვილები“ გვყავდა, მაგრამ ამით საქმე არა კეთდებოდა: საქართველოს ორი-სამი მტერი მუდამ ადგა კარზე, რომელთაც უნდა გაჰმკლავებოდა. დაინახავდნენ ლეკები თუ არა, საქართველო მტრისაგან გაჭირვებულ მდგომარეობაშია, შემოესეოდნენ ქურდულად და ანადგურებდნენ ჩვენს მამულს.

უკანასკნელ დროს, როგორც საქართველოს, ისე დაღესტნის ისტორიული ცხოვრება შეიცვალა; აუარებელ მტრისგან დაუძლურებულმა საქართველომ რუსეთს შეაფარა თავი და შემდეგ დაღესტანიც რუსეთის ქვეშევრდომად გახდა. ამ მიმდინარე საუკუნის შუაში რუსეთისა და ქართველების ჯარმა შეიპყრეს გუნიბის ლომი—შამილი და ამით მოუღეს ბოლო დაღესტნის თვით-არსებობას. ამის შემდეგ მოისპო ქართველებსა და ლეკებს შორის მტრობა. ნამდვილი წინასწარმეტყველობა ასეთ შემთხვევაში ძნელია, მაგრამ ის-კი უნდა ვიფიქროთ, რომ ისეთი მხეცური სისხლის ღვრა, როგორიც ზევით მოვიხსენიეთ, აღარ უნდა განმეორდეს დაღესტანსა და საქართველოს შორის. ეხლა სხვა დრო დადგა, დრო ვაჭრობა-მრეწველობისა: ყველა ხალხი და ერი დღეს ვაჭრობა-მრეწველობის ასპარეზზე სცდილობს გაიმარჯვოს. თოფ-იარაღის მაგივრად ეხლა ბირჟა ჰმოქმედებს. უნდა ვიგულისხმოთ, მაშასადამე, რომ დაღესტანი, როგორც მეზობელი, თუ სადმე მოხვდება საქართველოს, მხოლოდ ვაჭრობის მხრივ და არა თოფ-იარაღით.

ერთი საუკეთესო სასტრატეგიო და სავაჭრო ადგილი დაღესტანისა უხსოვარის დროიდგან იყო და დღესაც არის ქ. დარუბანდი, რომელსაც ეხლა დერბენთს უწოდებენ. ამ ქალაქს ძველ დროში, არა თუ მარტო დაღესტანისთვის, ასე გასინჯეთ, მსოფლიო ისტორიაშიც-კი ჰქონდა მნიშვნელობა. ის იყო აღშენებული გზაზე და იმ დროს, რომელსაც ეძახიან „დიდი ხალხის გადასახლების“ ეპოქას, ქისკარს შეადგენდა—თუ შეიძლება ასე ითქვას,—რომელშიაც, ვინ მოსთვლის, რამდენს ხალხს გაუვლია, რამდენს ვერ გაუვლია და აქვე ბრძოლაში აღგავებულა მისი ხსენება ამიერ ქვეყნიდამ და რამდენს კიდევ გზა დაჰბნევია და კავკასიის მთის მკვიდრად გამხდარა! ძველს დროში რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონია დარუბანდს, ამას გვიმტკიცებს ნაშთი ქალაქის გარე შემოვლებულ კედლებისა დ ციხესიმაგრეებისა, რომელთ ასაგებად დახარჯული შრომა და მასალა რამდენსამე მილიონ მანეთად ეღირებოდა. დარუბანდს ყაზარები დ სპარსები მუდამ ეცილებოდნენ ერთმანეთს. აღმოსავლეთის მხარე კავკასიის მთის მკვიდრთათვის დღემდისაც მხოლოდ ერთი დარუბანდი არის სავაჭრო და აღებმიცემობის ადგილი. რუსეთის მეფე პეტრე პირველი მიხვდა, რა დიდი მნიშვნელობაცა ჰქონდა კავკასიის მთის აღმოსავლეთის ნაწილში დარუბანდს და 1722 წელს დაიპყრო. 1806 წელს რუსეთის მთავრობამ დააარსა დარუბანდში სამხედრო სამართველო დაპყრობილ მთიულებზე თვალ-ყურ დასაჭერად. შემდეგ პირველმა მთავარ-მართებელმა კავკასიისამ დანიშნა დარუბანდში სამხედრო გუბერნატორი.

რადგანაც დარუბანდის კედელი და ციხე-სიმაგრეები ძველ დროში მიუდგომელი იყო მტერთათვის და უშიშარ ჰყოფდა ქალაქს, ამიტომ დარუბანდის მკვიდრმა ამ თავითვე გვარიან კარგ სიმაღლეზე დააყენა თავისი ეკონომიური მდგომარეობა: დარუბანდელები დიდის ხნიდგან მისდევდნენ აბრეშუმის კეთებას, ბაღოსნობას, შალისა და აბრეშუმის ქსოვას, თოფ-იარაღის კეთებას და სხვას; ქალაქს ახლო-მახლო სთესავდნენ ხაშხაშს (რომლისაგან ამზადებდნენ თრიაქს), ბამბას, ბრინჯს და პურს; ჰქონდათ ენდროს პლანტაციები და ვენახები. მკვიდრთა თავისი ნაწარმოები გაჰქონდათ გასასყიდად სხვადა-სხვა ადგილს.

ზემოხსენებულმა რუსეთის მეფემ, პეტრე პირველმა, მიაქცია ყურადღება დარუბანდის ჰავასა და ნიადაგს, რომელიც ხელს უწყობდა ბაღოსნობას, და რომ უფრო დიდს წარმატებაში შეეყვანა აქური მევენახეობა, იტალიიდგან კარგი ჯიშის ვაზი და ვენგრიიდან ღვინის მკეთებელი გამოიწერა. 1840 წლებში მოსკოველმა ვაჭრებმა გაიგეს, რომ დარუბანდში მოდის ენდროო, რომლიდგანაც მზადდება მშვენიერი საღებავი, და დაიწყეს დარუბანდიდან ენდროს გატანა. აქაურმა ხალხმა, დაინახა რა, ენდრო კაი ფასად იყიდებაო, გულდადებით შეუდგა ენდროს პლანტაციების გაშენებას. კავკასიის მთავარ-მართებელმა, ვარანცოვმა, იშუამდგომლა უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ დარუბანდში გაეხსნათ ენდროს საღებავად გადამკეთებელი ქარხანა. ამან ისე წააქეზა დარუბანდელები რომ თითქმის ყოველივე სხვა მრეწველობა-ოჯახობას დაანებეს თავი და შეუდგნენ მხოლოდ ენდროს მოყვანას. გაჩნდა ასობით მსხვილმანი კაპიტალისტები. უბრალო მუშაც არა რჩებოდა ხელ-ცალიერი. რაღაც ოცდაათის წლის განმავლობაში დარუბანდი კარგა გვარიანად გამდიდრდა, მაგრამ 1870 წელში ენდროს გამოუჩნდა თავსხარ-დამცემი მეტოქე: დასავლეთ ევროპაში გამოიგონეს კარგი და იაფფასიანი საღებავი (ალიზარინი), რომელმაც უცბად მოუღო ბოლო ენდროს მრეწველობას. დაზიანებულმა ენდროს მოვაჭრეებმა პეტერბურგს დეპუტაცია გაჰგზავნეს და სთხოვეს, სადაც ჯერ იყო, რომ საზღვარს გარეთიდან შემოტანილს საღებავზე ოთხ-ხუთის წლის განმავლობაში დიდი ბაჟი ახდევინოს მთავრობამ და ამით საშვალება მოგვეცეს, რომ უდიდ-ზიანოდ გავიცალოთ ხელიდგან ენდროს მრეწველობაო, მაგრამ მაშინდელმა ფინანსთა სამინისტრომ უარი უთხრა დარუბანდის დეპუტაციას და იმათი თხოვნა არ შეიწყნარა.

დაეცა ენდროს მრეწველობა და მასთან ერთიან დაიღუპა დიდძალი ფული, რომელიც ამ მრეწველობის საწარმოებლად იყო გაცემული. ამ საშინელის ზიანით შეშინებულმა ხალხმა ყოველსავე სამრეწველო საქმეს იჭვის თვალით დაუწყო ყურება, არა ვითარს ამ გვარ საქმეზე გულს აღარ ანდობდა. ამას მოჰყვა დარუბანდის ეკონომიურად დაცემა. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთებმა ხელ-ახლავ მოჰკიდეს ხელი ბაღოსნობას, განსაკუთრებით ვენახის გაშენებას. ის ადგილები, რომლებიც ერთ დროს ენდროთი იყო მოფენილი, ეხლა ვენახმა დაიჭირა.

(დასასრული იქნება)

## წვრილი ამბავი

საჭიროა თუ არა გონებრივის მუშაობისათვის ღვინო და თამბაქო? აი ამ საკითხის გადაწყვეტა განუზრახავს ინგლისელს არტურ როდეს: შეუკრებია ამის შესახებ აზრნი გამოჩენილ და შესანიშნავ ინგლისელებისა და ახნაის რიგზედ მოუყვანია. აი რა დასკვნას დასდგომია მერე: „ერთია მხოლოდ აშკარა: ინგლისის საუკეთესო და დიდებული პოეტები და მეცნიერები გონებრივის მუშაობისათვის სრულიად არა სთვლიან საჭიროდ, მხოლოდ ზოგიერთნი, უმცირესობა იმ აზრისაა, რომ თამბაქო გონებრივს მუშაობას ჰშველის და ეხმარებაო. უმრავლესობას თამბაქო უსიამოვნოდ მიაჩნია. შუა საუკუნის გენიოსნი კაცნი და დიდებულნი მეცნიერნი არასოდეს არა ჰხმარობდნენ თამბაქოს“. აი უმთავრესნი დასკვნანი:

1) ალკოჰოლსა და თამბაქოს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მშრომელის კაცისათვის, თუკი ჯან-საღია.

2) უნაყოფიერესნი და დიდად მშრომელნი გონიერნი კაცნი ყოველთვის ერიდებოდნენ ერთსაცა და მეორესაც.

3) ვინც სულ არ მიეკარა და ან ზომიერად ისმარა თამბაქო და ალკოჰოლი, ისინი ამბობენ, რომ ჯან-საღობისთვის ფრიად კარგიაო.

4) ყოველ კაცს, რომელიც გონებრივს მუშაობას ადგია, ისევ ისა სჯობია, რომ არც ერთს მიეჩვიოს და არც მეორეს.

5) თვით დიდად უძნელესნი მოსაფიქრებელი და გამოსარკვევი ამოცანანი ახსნება და ამას არც თამბაქოს შეკეთება საჭიროა და არც ალკოჰოლის შეხურება.

6) ერთად-ერთი ადამიანის გონების დამხმარებელი ის არის, რომ ადამიანმა სუფთა ჰაერზე იცხოვროს, ცივს წყალში იბანაოს, ფეხით და ცხენით სიარული არ მოიშალოს და სხეული ავარჯიშოს.

— ინგლისის გაზეთებს აუწყებენ ოგაიოს შტატიდგან, რომ ჩვენში გამოჩნდა ვიღაც გრძნეული, სახელად ი რ ა ნ მ ე ლ ბ ო რ ნ ი, რომელიც იქადის, რომ წვიმის მოყვანა შემიძლიანო. მოწმობაც აქვს, რომ ახალ ზელანდიაში 5-ჯერ, ახალ ჰოლანდიაში—12-ჯერ და შეერთებულს შტატებში—3-ჯერ გვალვები ყოფილა და ამ კაცს მოუყვანია წვიმა და ერთხელ-კი წვიმა-ქარიშხალიც-კი გაუჩენია. ამ ქარიშხალს 60,000 მან. ზარალი მიუცია მცხოვრებთათვის, მაგრამ უპატიებიათ და ამისთვის არ დაუსჯიათ. საცდელად ოგაიოს შტატის ქალაქ კანტონში წარსული სამშაბათი დანიშნეს წვიმის მოსაყვან დღედ. მელბორნმა თავის ლაბორატორიაში რამდენსამე საათს იმუშავა, ორშაბათს ღრუბლებმა მოიყარა თავი და სამშაბათს კოკა-პირული წვიმა დაუშვა. ეს წვიმა დაისაკუთრა მელბორნმა, ჩემი მოყვანილიაო, თუმცა ნახევარ დღით ადრე მოვიდა. სანაძლეო არ მისცეს: თუ სამშაბათს წვიმა მოვიდა, მაშინ მოგცემთო. მთელი დღე ღრუბელი თვალითაც არა სჩანდა და დანაძლევებულნი სასოწარკვეთილებაში მოდიოდნენ. დაღამდა და ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. თვით გრძნეული თავისს ლაბორატორიაში იყო და არავის ეჩვენებოდა. უეცრად, ჯერ შუაღამე არ შესრულებულიყო, რამდენიმე წუთი აკლდა, ღრუბელი გამოჩნდა და წვიმა წამოვიდა. მელბორნმა მოიგო სანაძლეო. კანზასის შტატის მთავრობამაც მიიწვია თავისთან მელბორნი, რადგან დიდი გვალვა დგას ამ შტატში. მელბორნი იქადის, რომ ყოველთვის მოვიყვან წვიმას, როცა მინდაო.

## წერა-კითხვის საზოგადოების საყურადღებოდ

მეთვრამეტე საუკუნის ქართულის მწერლობის ისტორიაში ერთ უმთავრეს ადგილთაგან იოანე ბატონიშვილის მიერ შედგენილი წიგნი „ხ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა“ დაიჭერს. ერთად ერთი თხზულება ეს არის ქართულს ენაზე, სადაც მოიპოვება ყოველ მეცნიერების სიტყვები. ამ წიგნს იოანე ბატონიშვილი საქართველოს მეფე ერეკლეს დროს სწერდა და დაათავა მხოლოდ რუსეთში, ე. ი. იმ დროს, როცა ქართველი ბატონიშვილები რუსეთში გადაასახლეს.

ამ საუკუნის 1875 წლამდე ჩვენ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ იოანე ბატონიშვილს „ხუნების მეტყველებაც“ ეკუთვნისო, თვით თხზულება-კი არ გვინახავს თვალით. ამ წიგნის დიდს ნატვრაში იყო იოსელიანი და განსაკუთრებით ბაქრაძე, როცა ეს იოანე ბატონიშვილის „კალმასობას“ ჰბეჭდავდა და იმის ცხოვრებას სწერდა. მაგრამ აღმოჩენით-კი არსაიდგან აღმოჩნდა. ვინც-კი იცოდა ამ წიგნის არსებობის ამბავი, ყველა იმ აზრისა იყო, რომ ეს წიგნი სრულიად დაიკარგაო, მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი, რომ ეს „ხუნების მეტყველება“ აღმოჩნდა ბ-ნის ანდრია ანტონის ძის გამრეკელის ხელში. ეს ერთად ერთი ხელთ ნაწერი, რომელიც თვით იოანე ბატონიშვილის ხელით არის ნაწერი, ბ-ნ ანდრია გამრეკელს ტფილისის იარმუკაზე შეუძენია.

ეს წიგნი დიდად საჭიროა, რადგან, როგორც ვთქვით, შიგ მრავალი ტერმინი მოიპოვება როგორც არითმეტიკისა, ისევე გეომეტრიის, ტრიგონომეტრიისა, ალგებრის, მცენარეთა, მწირთა, პირუტყვთა, ლითონთა და სხვათა. კარგი იქნებოდა, რომ ეს ფრიად საინტერესო წიგნი წერა-კითხვის საზოგადოებამ როგორმე გადმოაწერინოს იმის პატრონს. ბ-ნი ანდრია გამრეკელიკი ქუთაისში სცხოვრობს, ქუთაისის გუბერნიის ტყის მცველთა რევიზორია, და გადმოწერას არ დაუშლის. გამრეკელიანთ გვარში, ამ წიგნს გარდა ბევრი კიდევ სხვა ძველი ხელთ-ნაწერი წიგნია დაცული, თუ მეკვიდრეობით და თუ ისე შეგრებ-შეძენით. ამათი პაპა იყო მეფის ერეკლის თანამედროვე შიო-მღვიმის წინამძღვრად ნამყოფი არხიმანდრიტი, კაცი მწიგნობარი. ამან შეადგინა ქართული წიგნების კატალოგი მეოთხე საუკუნიდგან მოყოლებული მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე. ამ კატალოგის ერთი ასლი მე მაქვს დაცული.

ზ. ჭიჭინაძე

## დეპეშა

18 ივლისს

პეტერბურგი. საფრანგეთის პატივსაცემლად გამართულს მეჯლისს ქალაქის საბჭოს დარბაზში დაესწრნენ შინაგან საქმეთა, სამხედრო და გზათა მინისტრები. სუფრაზედ ესე ისხდნენ: შუაზედ ქალაქის თავი, ამის მარჯვნივ უჯდა საფრანგეთის ელჩი, მარცხნივ—ადმირალი ჟერვე. მარჯვნივ და მარცხნივ ამათ იქით ისხდნენ საფრანგეთის ხომალდ-გემების უფროსები. სუფრას ამშვენებდა ვერცხლის ლიტრები, რომლებიც სტუმრებისათვის იყო დანიშნული: ჟერვესათვის მინანქრიანი ვერცხლის ლიტრა, შტაბისა და გემების უფროსებისათვის—მინანქრიანი თასები და ვერცხლის ციცხვები—ესკადრას აფიცრებისათვის. ქალაქის თავი მიესალმა სტუმრებს შესაფერის სიტყვით, ჟერვემაც პასუხი უთხრა და თავისი სიტყვა „vive la Russie“-თი დააბოლოვა. დალიეს სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა, რუსეთის აღყვავებისა, საფრანგეთისა და იმის წარმომადგენლითათვის. დარბაზში მშვენიერი ბუფეტი იყო გამართული.

პეტერბურგი. ადმირალმა ჟერვემ გაზ. „სვეტ“-ის რედაქტორს შემდეგი წერილი მისწერა: „წრფელის გულით ვსწუხვარ, რომ შემთხვევა არა მქონდა მიმეღო მწერლობის წარმომადგენელნი, რომელნიც ესკადრას მოსვლის დღეს „Marengo“-ზედ მოვიდნენ ჩემ და საფრანგეთის ტბილად მოსაკითხად. ვსთხოვ ბ-ნ კომაროვს, როგორც უხუცეს წარმომადგენელს მწერლობისას, გადასცეს ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს ჩე-

მი გულითადი მადლობა იმ მოკითხვისათვის, რომელიც ერთსულოვან თანაგრძნობას გამოჰხატავს და რომელიც ჩემთვის დიდად საგრძნობელი დარჩა“.

**მოსკოვი.** სერბიის მთავარმა დაათვალიერა მოსკოვის ღირს-შესანიშნავი ადგილები, ისადილა დიდ მთავართან და იყო „ნესკუჩნი“-ს ბაღში.

**ლონდონი.** მინისტრთა ბანკეტზედ Menhen Ganze-ში მარკიზ სალისბერიმ სიტყვა წარმოსთქვა და გამოაცხადა, რომ არ მახსოვს ისეთი დროო, როცა საგარეო საქმეებში ესე მცირე დამაბრკოლებელი მიზეზი ყოფილიყოს და ევროპის პოლიტიკაც უფრო მეტად დამშვიდებული მენახოს, როგორც ამ ჟამადააო. ორატორმა ისიც დაუმატა, რომ ინგლისი სიამოვნებით მიიღებს პორტსმუტში საფრანგეთის ესკადრას და ეს იქმნება ახალი და ძვირფასი წინდი მშვიდობიანობისა ხალხთა შორის და საფრანგეთთან ჩვენის მეგობრობისა. „რაიცა შეეხება კავშირსაო“—დააბოლავა მარკიზ სალისბერიმ სიტყვა—მე დარწმუნებული ვარ, რომ წერილობით პირობების უბრალო მნიშვნელობას დიდად აზვიადებენ. ინგლისი თავის მოკავშირეთ რაცხს ყოველთავე იმათ, ვინც მოსურნეა მშვიდობიანობისა და დამცველი ეხლანდელის მიწმ-წყლის და ნაწილებასაო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 45 | $7^1/_2$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149 | $149^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 08 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 238 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 228 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | — ,, | — ,, | $213^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოსაი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმდ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს კვლაზე გემები.

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება

**დ. ზ. ბაქრაძის თხზულება**

## ისტორია საქართველოსი

(უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)

ფასი ერთი მანეთი (10—0—10)


## ა. რალლე და ამხ.

მოსკოვში

სასახლის იჯარადარი

ახალთ-ახალი

საპონი

მე-XX საუკუნისა
თეთრი იასამანი
ყაზანლიკის ვარდი
ყრუახისა
საიზნაურო

სუნელი წყალი

ზამბახისა
სპარსეთის იასამანისა
თეთრის იასამანისა
მინდვრის ყვავილებისა
თათრულის თეთრის იისა

ვაზელინის საპონი—ვაზელინის პომადა

ისყიდება რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა. 5—მ—2

ეს განცხადება დაბეჭდილია „Правит. Вѣстн.“-ის 91 წ. 16 მარტის მე-59 №-ში.




ტფილ. გამოფენა




ვერცხლისა




ოქროსი

## აღალო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ,

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სტანციების ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველანაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში, ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისთვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცი პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ).

ჩემი ადრესი: въ Тифлисъ заводъ масляныхъ красокъ на кузнецкой улицѣ (ярмарка) или собственномъ домѣ Абасабадская площадъ Агало А. Тутаеву. (15—75—12)

გამოიცა ალექსანდრე როინაშვილის მიერ

## „ძმური სიტყვა“

**დ. მაჩხანელისა**

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში;
ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;
გორში არსენ კალანდაძესთან;
თელავში ილია ზარაფოვთან;
სიღნაღში კოტე ბალაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.
ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაეთმობა. (10—79—10)

Дозв. ценз. Тифлисъ, 19-го Іюля 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე